n 201/218 PX 4616/1.

სტუდია „ტელევიზორი" განსაკუთრებულ მადლობას უხდის გაწეული დახმარებისათვის: მუქია არაბულს, ტარიელ ბასიაშვილს, მანანა ბეჟიაშვილს, მერაბ ბუჩუკურს, ანი გოგორიშვილს, მალხაზ დათუკაშვილს, ნანო დაშიანს, ანანო ელბაქიძეს, ნათია ვამალიძეს, ლია კახელაშვილს, ქეთანე კაციტაძეს, თამარ კორაშვილს, კლარა მაჭარაძეს, ლიკა მეგრელიძეს, ნანო მოზაიძეს, დარო სულაკაურს, ნათია ჭარხაიძეს, ნინო ყიფშიძეს, მარინა მანავას, ბელა ჩუკურიშვილს, ნაზი ჩოფიკაშვილს, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტს ისაია ჭანტურიას, მარი ხარიძეს, მაია ხურინაშვილს და ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების მანძილზე გვეხმარებოდა პროექტის განხორციელებაში.

სტუდია ტელევიზორი

ბუკლეტში გამოყენებულია თიკო ნაცაურის, ალექსანდრე როყვას, ნიკა სახიაშვილის, მამია მალალაშვილის, ელისაბედ ლვინეფაძის, და ნატო შუშანიას ნახატები.

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით.

© სტუდია „ტელევიზორი" 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვკითხულობთ, ვსწავლობთ და ვახურათებთ

# ვეფხის ტყაოსანი



## სტუდია „ტელევიზირი"

„ტელევეზირი" პირველად 1994 წლის 7 იანვარს გამოჩნდა ეკრანზე. ტელევიზორის ჩარჩოში მოქცეული 4 წლის ბიჭის ნახატი, სასაცილო კაცუნა, მოულოდნელად გაცოცხლდა, გამბედაობა მოიკრიბა და თავი „ტელევეზირად" გამოაცხადა; ტელევეზირმა ახალი თამაში მოიგონა - ბავშვებს სთხოვა თავიანთი ნახატები გამოეგზავნათ იმ იმედით, რომ ეს ნახატებიც გაცოცხლდებოდა და ისიც მარტო არ იქნებოდა.



ტელევეზირმა უამრავი მეგობარი შეიძინა. ბავშვების გამოგზავნილი ნახატების პერსონაჟები ცოცხლდებოდნენ და შემდგომში ათასგვარ თავგადასავალსა თუ ფათერაკში ხვდებოდნენ მასთან ერთად.

*– ვაი, როგორ აღმოვჩნდი ამ ყუთში?..*

ასე შეიქმნა ანიმაციური ფილმები: „ტელევეზირი-94", „ანდრო და დარო", „უზარმაზარი ცა...", „შემოდგომის ავტობუსი", „პონტოს - შავი, შავი ზღვა", რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ფესტივალზეა გამარჯვებული. მათ შორის:

1999 - საფრანგეთი, პარიზი. RIENA-99, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ფილმების ფესტივალი. პრიზი „საუკეთესო ანიმაციური ფილმისათვის";

2001 - თურქეთი, ანტალია. 38th GOLDEN ORANGE International Film Festival. პრიზი: „საუკეთესო ანიმაციური ფილმისთვის" და „ჟიურის სპეცილური პრიზი";

2001 - გერმანია, ბერლინი. ECOMOVE-2001, საერთაშორისო გარემოს დაცვითი ფილმების ფესტივალი. პრიზი: „Royal Award";

2006 - ვილნიუსი, ლიტვა. საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი TINDIRINDIS. პრიზი: „Best Made By Children"
და სხვა.

## „ვეფხისტყაოსანი"



ნენე კუპრაძე, 9 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვეფხისტყაოსანი" თაობიდან თაობას ზეპირმეტყველებით გადაეცემოდა. მასში მუდამ ხედავდნენ სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის მისაბაძ მაგალითებს.

ჩვენი ჯგუფი ათი წელია, რაც მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (კახეთი, ჯავახეთი, ყაზბეგი, სვანეთი, თიანეთი, სამაჩაბლო...), ვეძებთ ბავშვებს, რომელთაც ზეპირად იციან „ვეფხისტყაოსნის" ცალკეული სტროფები.

ერთად ვკითხულობთ, ვყვებით, ვსწავლობთ „ვეფხისტყაოსნის" სტროფებს; ვიხსენებთ მივიწყებულ სიტყვებს, ვფიქრობთ და ვსაუბრობთ პოეტურ ენასა და რიტმზე, გმირების

*„მას თინათინის შვენება ჰქონდის ნამნამთა ჯარისა..."*



ქცევაზე, ნაწარმოებში მოთხრობილ ამბებზე. ვხატავთ, ვასურათებთ, ვიწერთ ბავშვების ხმებს, ვიღებთ კითხვის პროცესს. ასე ჩნდება ბავშვების თვალით დანახული თინათინი, ტარიელი, ნესტანი თუ ავთანდილი, ესა თუ ის სცენა.



ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის ბავშვების ნახატებსა და ზეპირად ნათქვამ სტროფებში ვლინდება თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი განწყობა, ხედვა, ხმოვანება.



2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე ჩავწერეთ 900-ზე მეტი ბავშვი; შეიქმნა პოემის სიუჟეტის ამსახველი 5000-ზე მეტი ნახატი. ჩვენ კვლავაც ვაპირებთ ექსპედიციების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა მხარესა და მის ფარგლებს გარეთ - ტაო-კლარჯეთში, ფერეიდანსა და საინგილოში, ასევე, ვგეგმავთ რადიო და ტელე გადაცემების ციკლს, რათა უფრო მეტი ბავში ჩაერთოს პროექტში.



თიკო მაჩნიაშვილი, 8 წლის

საუკეთესო აუდიოჩანაწერები, ნახატები და კალიგრაფიის ნიმუშები თავსდება მუდმივად განახლებად ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე www.utvalavi.ge, შეგროვებული მასალის საფუძველზე კი შეიქმნება სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხისტყაოსანი", ასევე, დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს ანიმაციურ ფილმზე მუშაობის პროცესს და კიდევ - ბავშვების ნახატებით დასურათებული წიგნი.

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის ემორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ნუმც და მისად!""



2013 წლამდე ეს პროექტი სტუდია „ტელევეზირის" შემოქმედებითი ჯგუფის ენთუზიაზმით, დაფინასების გარეშე, ხორციელდებოდა. 2013 წლიდან იგი გაგრძელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროექტის სრულად განსახორციელებლად ჩვენ კვლავაც ვეძებთ მხარდამჭერებსა და პარტნიორებს.

გთხოვთ თანადგომას, რათა ერთად განვახორციელოთ ჩანაფიქრი!

ასევე, გთხოვთ სკოლებს, შემოქმედებით სახელოსნოებს და ყველა მსურველს - გამოგვიგზავნოთ ნახატები და აუდიო ჩანაწერები.

დაგვიკავშირდით:
ტელ.: +995 32 299 02 63; +995 577 46 61 08
მისამართი: გ. ლეონიძის 18, 0105, თბილისი,
ელ-ფოსტა: televeziri@gmail.com
WWW.TELEVEZIRI.ORG.GE
WWW.UTVALAVI.GE

